წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი გიგინეიშვილს

წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის (ამომრჩეველთა)

პ ე ტ ი ც ი ა

(წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჩკოვში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ)

პეტიციის წარმდგენი (მომხსენებელი):

მერიემ ჭელიძე
მცხოვრები: წალკა, კლდეკარის ქ. N 13 (ყოფ. ახალი შუქის ქ.)
პირადი N 52001023869
საკონტაქტო ტელეფონი: 579 28 09 27
ელ.ფოსტა: meri.tchelidze22@gmail.com

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დანერგოს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ბავშვებისთვის მიწოდება. მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან უფასო კვებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჩკოვში მცხოვრებ ბავშვებს სკოლამდელ განათლებაზე ხელი არ მიუწვდებათ.

უახლოესი საბავშვო ბაღი ქალაქ წალკაშია. ხაჩკოვიდან წალკამდე 27 კილომეტრია. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ყოველდღიურად ამ მანძილის (54 კილომეტრის) გავლა ძალიან ძნელია - იმ შემთხვევაშიც კი, მუნიციპალიტეტი რომ უზრუნველყოფდეს ხაჩკოვში მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტირებას წალკის საბავშვო ბაღში. ამასთან, ნოემბრიდან თითქმის მარტის ჩათვლით, წალკის სოფლებში მკაცრი კლიმატური პირობებია და გადაადგილება სრულწლოვანებისთვისაც კი პრობლემურია.

ხაჩკოვში და მასთან ახლოს მდებარე სოფლებში - კაბურში, ჩივთ-ქილისაში, თამალა-ხარაბაში, 70-ზე მეტი სკოლამდელი ასაკის ბავშვი ცხოვრობს, საცხოვრებელი ადგილისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიხედვით, ფაქტობრივად, მათი დისკრიმინაცია ხდება.

სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს მოზარდების კოგნიტური, სოციალური, ლინგვისტური უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. საბავშვო ბაღი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვებში სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულებისა და პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბებაში, ქცევითი პრობლემების რისკს ამცირებს, მშობელთა დასაქმებას უწყობს ხელს. სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვანია საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის და ყველა ბავშვისთვის, როგორც მოქალაქეებისთვის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

ჩვენ, წინამდებარე პეტიციაზე ხელმომწერ პირებს მიგვაჩნია, რომ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჩკოვში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნით, მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფით, ხაჩკოვში და მასთან ახლოს მდებარე სოფლებში მცხოვრები ბავშვები შეძლებენ საყოველთაო, უფასო და სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზებას.

მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილება და მისი ერთ-ერთი ფუნქციაა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ:

დაარეგისტრიროთ წინამდებარე პეტიცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოთ მასში დაყენებული საკითხის (წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჩკოვში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ) განხილვა-გადაწყვეტა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 86-ე მუხლის შესაბამისად.

ამასთან, გთხოვთ, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილების (წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ) თანახმად, გადმოგვცეთ პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკები.

<u>დანართი:</u>

1. პეტიციის წარმდგენი პირის - მერიემ ჭელიძის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქსეროასლი);

მერიემ ჭელიძე ----------

22.11.2022

IDENTITY CARD

GEO

სახელი / FIRST NAME
მერიემ
MERIEM

გვარი / LAST NAME
ჭელიძე
TCHELIDZE

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მდ / F
პირადი No / PERSONAL No: 52001023869

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 02.02.1994
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 23.07.2031

ბარათის No / CARD No: 20IA93979

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ხულო
KHULO

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
23.07.2021

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGEO20IA93979552001023869<<<<
9402021F3107232GEO<<<<<<<<<<<6
TCHELIDZE<<MERIEM<<<<<<<<<<<<<